

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტრატეგია

სამხატვრო აკადემია მოწოდებულია განავითაროს მხატვრების, მეცნიერებისა და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების აქტიური და ინკლუზიური საზოგადოება, რომელთაც აერთიანებთ სრულყოფილება, ინოვაციურობა და ხელოვნება, როგორც გარდამქმნელი ძალა; საზოგადოებაში ქმნის აკადემიური და შემოქმედებითი თავისუფლების კეთილგანწყობილ დინამიკურ გარემოს; ხელს უწყობს მხატვრული გამოხატვის უნარების, კრიტიკული აზროვნების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და ახალი შემოქმედებითი უნარის გამოვლენას.

სტრატეგია გამოხატულია 5 ძირითადი ასპექტით:

1. შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება: აკადემია მოწოდებულია შექმნას სტიმულირებისა და შთაგონების გარემო, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას;
2. პროფესიული მომზადება: უზრუნველყოს სტუდენტების მაღალხარისხოვანი განათლება და პროფესიული უნარების განვითარება სახვითი ხელოვნების, დიზაინის, არქიტექტურის, მედიახელოვნების, რესტავრაცია-კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროებში;
3. ნიჭისა და ინდივიდუალურობის მხარდაჭერა: მხარს უჭერს და ავითარებს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ ნიჭს, ეხმარება საკუთარი უნიკალური ხელწერის პოვნასა და მხატვრული შემოქმედების საშუალებით საკუთარი თავის გამოხატვას;
4. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება: აკადემია აღიარებს თავის სოციალურ პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების მიმართ. ეს გამოიხატება არა მხოლოდ სტუდენტებისთვის ხელოვნების ტრადიციული მეთოდების სწავლებაში, არამედ მნიშვნელოვანი არტ ობიექტებისა და პრაქტიკების კვლევაში და დაცვაში;
5. წვლილი საზოგადოებაში: აკადემია წაახალისებს სტუდენტებსა და პედაგოგებს, თავიანთი შემოქმედებითა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით შეიტანონ პოზიტიური წვლილი საზოგადოებაში: როგორც პროფესიული საქმიანობით, ასევე - კულტურულ და სოციალურ ინიციატივებში მონაწილეობით.

ხედვა

სამხატვრო აკადემია მოწოდებულია გახდეს სახელოვნებო განათლების, კვლევებისა და კულტურის გამდიდრების მოწინავე მოცდილების მსოფლიოში აღიარებული ცენტრი. ავითარებს მხატვრების, დიზაინერების, არქიტექტორების, მედიახელოვნების, მედიაკრიტიკოსების, ხელოვნების ისტორიკოსებისა და თეორეტიკოსების, რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალისტების აქტიურ და ინკლუზიურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების გამდიდრებას ინოვაციური სამხატვრო პრაქტიკებით, სამეცნიერო საქმიანობითა და კულტურული ინიციატივებით. ქმნის მრავალფეროვნების, თანამშრომლობისა და ინტეგრაციის სივრცეს. მონაწილეობს ხელოვნებისა და

ჰუმანიტარული მეცნიერებების მომავლის ჩამოყალიბებაში რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

ღირებულებები

1. შემოქმედებითობა და ინოვაცია: აკადემია წახალისებს ინოვაციებსა და ექსპერიმენტებს შემოქმედებით პროცესში;
2. პროფესიონალიზმი და ხარისხი: აკადემიის ფუნდამენტური პრინციპებია პროფესიონალიზმისა და განათლების მაღალი ხარისხი;
3. ტრადიციები და თანამედროვეობა: აკადემია აფასებს ხელოვნების ისტორიას და ტრადიციებს, ინარჩუნებს კულტურულ მემკვიდრეობას, აღიარებს და ავითარებს და თანამედროვე ტენდენციებს ხელოვნებისა და არქიტექტურის სფეროებში;
4. დიაობა და დიალოგი: აკადემია ხელს უწყობს დია დიალოგს, თანამშრომლობას და იდეების გაცვლას სტუდენტებს, პროფესორებსა და საზოგადოებას შორის;
5. პიროვნული განვითარება: აკადემია მხარს უჭერს სტუდენტის ინდივიდუალურობისა და შემოქმედებითობის განვითარებას.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

1. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა: სამხატვრო აკადემიის მთავარი მიზანია სახელოვნებო განათლების სფეროში მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;
2. შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება: სამხატვრო აკადემია ავითარებს სტუდენტების შემოქმედებით პოტენციალს, ეხმარება მათ გამოავლინონ ნიჭი და ისწავლონ თავიანთი იდეების გამოხატვა ხელოვნების სხვადასხვა საშუალებით;
3. სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება: სამხატვრო აკადემია ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელებას როგორც საგანმანათლებლო პროცესში, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში. ეს მოიცავს კონფერენციებისა და გამოფენების ორგანიზებას, აგრეთვე სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემასა და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობას;
4. ინტერნაციონალიზაცია: აკადემია ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას; კავშირუბრუნებებს ამყარებს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ სასწავლო დაწესებულებებთან, ხელოვნებისა და კულტურის ორგანიზაციებთან. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პედაგოგებს, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, სტაჟირებებსა და ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში;
5. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია: სამხატვრო აკადემია აქტიურად მუშაობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის ხელოვნების ისტორიისა და კულტურის შესწავლით. ეს მოიცავს მხატვრული ნაწარმოებებისა და ხელოვნების ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციასა და შენარჩუნებას;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება: აკადემია აქტიურად ნერგავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო-კვლევით პროცესებსა და ადმინისტრაციულ საქმიანობაში სერვისების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
7. უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა: აკადემია, ყველა საფეხურის სტუდენტებს, ასევე სხვა მსურველებს სთავაზობს უწყვეტი განათლების მრავალფეროვან პროგრამებს. ეს არის სასერტიფიკატო კურსები, მასტერკლასები, სემინარები, ლექციები;

8. კარიერული შესაძლებლობების განვითარება: აკადემია მხარს უჭერს სტუდენტების კარიერულ განვითარებას პრაქტიკებით, სტაჟირებითა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობით.

სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები

1. განათლება

- განათლების ხარისხი. მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პედაგოგიური პროცესის უზრუნველყოფა ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება);
- უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და ამოქმედება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე;
- ინტერდისციპლინურობა. ფაკულტეტებსა და მიმართულებებს შორის ურთიერთქმედების ხელშეწყობა შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სტიმულირების მიზნით;
- პროფესიული და შემოქმედებითი უნარების გასაძლიერებლად/ასამაღლებლად სასწავლო პროცესში შემოქმედებითი ლიდერი-პრაქტიკოსების, წამყვანი სპეციალისტების, ბიზნესში მოთამაშე პრაქტიკოსების, საერთაშორისო დონის კვალიფიციური კონსულტანტების მოწვევა, ღია ლექციების, ვორქშოპებისა და მასტერკლასების ჩატარება;
- სხვადასხვა ასაკის ადამიანების უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
- ქვეყნის ფარგლებში სკოლისგარეშე სამხატვრო განათლების ხელშეწყობის მიზნით, სარეკომენდაციო-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

2. სტუდენტების მხარდაჭერა და წარმატება

- კომპლექსური აკადემიური კონსულტაციები და პროფორიენტაციის სერვისების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ აკადემიური და პროფესიული მიზნების მისაღწევად;
- სწავლების კეთილგანწყობილი და ინკლუზიური გარემოს შექმნა;
- თანამშრომლობის პროცესებში სტუდენტების მონაწილეობა და მათთვის ეფექტიანი სერვისების მიწოდება. სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამების განვითარება. სტუდენტური ინიციატივების განხორციელება. საკონსულტაციო საბჭოებსა და საკონკურსო კომისიებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის (EMIS) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკების დანერგვა;
- სტუდენტებში ლიდერული უნარების განვითარების წახალისება. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- სტუდენტების მოტივირებული მონაწილეობის ხელშეწყობა კურიკულუმის გარე დონის ძიებებში, სემინარებსა და სტაჟირებებში, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კავშირურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით;
- ციფრული სასწავლო პლატფორმების, ონლაინ რესურსების, მობილური აპლიკაციების, ვირტუალური კლასების შექმნა.

3. შემოქმედება

- რეგიონული და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტების შემუშავება და განხორციელება. მათ შორის, ფესტივალების, არტ ბაზრობების, ვორქშოპების, გამოფენების, მასტერკლასების, შემოქმედებითი რეზიდენციების და სხვა;

- სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის სოციალურ-შემოქმედებითი სივრცეების შექმნა და ფუნქციონირება;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობის პროექტების განხორციელება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

4. სამეცნიერო კვლევები

- ეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა აკადემიური პერსონალისთვის;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე;
- ფუნდამენტური, გამოყენებითი და სახელოვნებო/არტისტული კვლევების (Artistic research) ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის ზრდა. შიდა სამეცნიერო პროცესის გააქტიურება, პროცესის მიმართვა ინტერდისციპლინური დიალოგისკენ. სამეცნიერო პროცესის მდგრადობისთვის, შიდა კვლევითი პროექტების მხარდაჭერა. სამეცნიერო პოტენციალის ზრდა ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის გზით. ინტერინსტიტუციური და ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა. სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის, ასევე დოქტორანტებისა და მაგისტრანტების აღჭურვა კვლევის წარმოების თანამედროვე ინსტრუმენტებით;
- ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება;
- დოქტორანტთა, აკადემიური პერსონალისა და კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა და მათი ჩართვა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში;
- საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში;
- ყოველწლიური შიდა ფაკულტეტური სამეცნიერო კონფერენციების (მათ შორის, სტუდენტურის) მოწყობა;
- ქართულენოვანი ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, სალექციო კურსების, მეთოდური მითითებების, ალბომების შექმნა და გამოცემა.

5. ინტერნაციონალიზაცია

- სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობებისა და პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის პროექტებში ჩართულობა, სტუდენტების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;
- არსებული საპატნიორო ქსელის გაფართოება: ერასმუს+ მობილობის და ინსტიტუციური განვითარების პროგრამების, ორმხრივი/მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის პროექტების გაფართოება.

6. ინსტიტუციური განვითარება

- სამხატვრო აკადემიის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, სახელოვნებო საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელება. არსებული პროგრამების მოდიფიცირება და ახალი პროგრამების შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საქმიანობის ხელშეწყობა;

- რესტავრაცია-კონსერვაციისა და სახვითი ხელოვნების დარგების განვითარების მიზნით, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობის განხილვა-შეფასება;
- უცხოენოვანი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- აბიტურიენტთა შემოქმედებითი კონკურსის ცვლილებების განხორციელება შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოტივირებული ახალგაზრდების მოზიდვისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით;
- საგამოცემლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- შემოქმედებითი რეზიდენციების შექმნა და განვითარება;
- ინსტიტუციური მართვის, მონიტორინგისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, საკონსულტაციო ორგანოების შექმნა;
- სტრუქტურული მოწყობისა და განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
- საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობების ხელშეწყობა;
- აკადემიის გარე დაფინანსების მექანიზმების გაძლიერება ქველმოქმედების, მეცენატობის, სპონსორშიპის, ფანდრაიზინგის გზით.

7. ინფრასტრუქტურის განვითარება და მდგრადობა

- სასწავლო და სამუშაო პროცესების წარმატებით ფუნქციონირების მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
- შემოქმედებითი რეზიდენციების მოწყობისთვის შესაბამისი პროექტირების განხორციელება;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორიებისა და სახელოსნოების უზრუნველყოფა სპეციფიკური ტექნიკური აღჭურვილობით;
- ციფრულ-ტექნოლოგიური კლასების შექმნა-ფუნქციონირება და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამებით უზრუნველყოფა;
- სოციალურ-შემოქმედებითი სივრცეების ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ინსტიტუციის მდგრადი განვითარების მიზნით, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, მათ შორის: ფასიანი სასწავლო კურსების, „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული სამეწარმეო საქმიანობით, საექსპოზიციო სივრცეებით სარგებლობისა და სხვა ფასიანი სერვისების მიწოდებით, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში შექმნილი ნამუშევრების რეალიზაციით;
- სახელოვნებო და შემოქმედებითი კვლევების შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაფართოება. სახელოვნებო და შემოქმედებითი კვლევებისა და პროცესების ინტერდისციპლინური ჰუმანიტარული მეცნიერებების, ტექნოლოგიური პრაქტიკების, შემოქმედებითი ეკონომიკის, შემოქმედებითი ინდუსტრიების კონტექსტში განვრცობა.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა

- სამხატვრო აკადემიის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება. სამხატვრო აკადემიაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიების, მასშტაბის შესაბამისი გაშუქება მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში;

- სამხატვრო აკადემიის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, პოპულარიზება;
- სამხატვრო აკადემიის საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ქსელში, საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში, აკადემიის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელებში, გამუქება მედიაში;
- სამხატვრო აკადემიის წარდგენა განათლებისა და კულტურის ადგილობრივ და საერთაშორისო პლატფორმებზე.

SWOT ანალიზი

თსსა სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება აკადემიის ხუთივე ფაკულტეტის და ძირითადი სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმებს და მოიცავს აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ყველა ასპექტს. ამასთან, აღნიშნული გრძელვადიანი გეგმები წინასწარ შეთანხმებული პრინციპით იქნა შემუშავებული, რაც აადვილებს საერთო პრიორიტეტების განსაზღვრას.

ავტორიზაციისთვის მზადების პროცესს წინ უსწრებდა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაცია, სადაც თსსა წარდგენილი ჰქონდა შვიდ კლასტერში განაწილებული სამ ათეულზე მეტი პროგრამა. აკრედიტაციისთვის მზადებამ და შემდგომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტებმა საშუალება მისცა თსსა ადმინისტრაციას და აკადემიურ პერსონალს ერთმანეთისთვის შეეძარებინა თვითშეფასების პროცესში გამოტანილი დასკვნები და გარე შეფასების შედეგები.

თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და აკადემიურმა პერსონალმა იმუშავეს კლასტერული აკრედიტაციის ანგარიშებზე, სადაც გაანალიზდა სისტემური ხასიათის რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მოხერხდა ავტორიზაციისათვის მზადების და თვითშეფასების პროცესში.

2023 წლიდან, აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და რექტორის არჩევის შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში ხორციელდება უმაღლესი სახელოვნებო განათლების რეფორმა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესს, შემოქმედებითი და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, მატერიალური ბაზის/ინფრასტრუქტურის საფუძვლიან განახლებას. აღნიშნული რეფორმის განხორციელება შეთანხმებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან; შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოხდება.

ხელოვნების ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების მიზნით, ასევე, სხვადასხვა სახელოვნებო პროგრამის მოთხოვნების უფრო მეტად მხარდასაჭერად, ამჟამად მიმდინარე საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები თსსა ახალი შემოქმედებითი სახელოსნოების შექმნის კუთხით.

სამინისტროს მიერ მხარდაჭერილია ინიციატივა შემოქმედებითი რეზიდენციების დაარსების შესახებ.

ძლიერი მხარეები

- 1922 წელს დაარსებული პირველი უმაღლესი სამხატვრო განათლების საგანმანათლებლო დაწესებულების მდიდარი და მრავალფეროვანი სწავლების ტრადიცია;
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური პერსონალი;
- თანამშრომლობის მდიდარი და მრავალფეროვანი ფორმები უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- სტუდენტებისა და პედაგოგების აქტიური ჩართულობა გაცვლით პროგრამებში;
- აკადემიის კურსდამთავრებულთა წარმატებები საერთაშორისო სახელოვნებო ასპარეზზე;
- აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდი მაჩვენებლები;
- სახელოვნებო-შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მზარდი დინამიკა;

- სტუდენტების აქტიური ჩართულობა როგორც თსსა ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ საქმიანობაში;
- სტუდენტების შემოქმედებითი, შემეცნებითი თუ სხვა სახის ინტერესების მხარდაჭერა თსსა ადმინისტრაციის მხრიდან;
- სტუდენტთა მხარდაჭერა: მემუშავებული და დამტკიცებულია სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, სასტიპენდიო ფონდი და სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, კარიერული მხარდაჭერის სერვისი და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები;
- თსსა მუზეუმი და უნიკალური სამუზეუმო ფონდები;
- თსსა უწყვეტი განათლების ცენტრი და მისი მრავალფეროვანი, მოთხოვნადი სახელოვნებო სასწავლო კურსები;
- გასაუმჯობესებელი მხარეები/გამოწვევები
- საანგარიშო პერიოდში მატერიალური ბაზის, ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებელი პროექტების საკმაოდ დიდი რაოდენობა;
- სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის (კამპუსის) არარსებობა.

რისკები/საფრთხეები

არქიტექტურისა და სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების რიცხვის შემდგომი ზრდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, რაც, შესაძლებელია, უარყოფითად აისახოს აბიტურიენტების რაოდენობაზე და შეამციროს თსსა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობა.

თითქმის 10 წელია თსსა არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამები არათანასწორ კონკურენციაშია ჩაყენებული, რადგან ყველა სხვა უნივერსიტეტში სახელმწიფო აფინანსებს არქიტექტურის პროგრამებზე სწავლას. მიუხედავად ამისა, აკადემიის პროგრამებს რეიტინგი მაინც მაღალი აქვს;

თსსა სახელოვნებო საბაკალავრო პროგრამების აბიტურიენტს ორი ეროვნული გამოცდის და შემოქმედებითი ტურის წარმატებით ჩაბარების შემდეგ შეუძლია ჩარიცხვა აკადემიაში. მაგრამ ის ვერ იღებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს, რადგან სახელოვნებო პროგრამებისთვის მაპროფილებელი შემოქმედებითი ტურის შედეგი არ მონაწილეობს სასწავლო გრანტის კონკურსში. შესაბამისად, თსსა აბიტურიენტი იძულებულია სასწავლო გრანტის მისაღებად ჩააბაროს მესამე ეროვნული გამოცდა. ამდენად, სხვა უნივერსიტეტების აბიტურიენტებისგან განსხვავებით, აკადემიის აბიტურიენტი აბარებს ოთხ გამოცდას (სამ ეროვნულ და ერთ შიდა მაპროფილებელ გამოცდას).

განვითარების შესაძლებლობები

თსსა ცნობადობის ამაღლება, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოს რეგიონებში. ამ მიზნით მოკლე საიმეო რგოლების შექმნა, სადაც ნაჩვენები იქნება, რა სპეციალობები ისწავლება თსსა ფაკულტეტებზე, როგორი მიღწევები აქვთ აკადემიის კურსდამთავრებულებს და სხვ.

სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით და, ასევე, უფროსკლასელთა პროფორიენტაციის ხელშეწყობად თბილისსა და საქართველოს რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სამხატვრო სკოლებში პრეზენტაციების, კონსულტაციების ჩატარება პერმანენტულ რეჟიმში.

პანდემიის პერიოდში შექმნილი ელექტრონული სწავლების გამოცდილების გამოყენება ონლაინ სწავლების ახალი მიმართულებების დასაწარგად, კერძოდ, უწყვეტი განათლების კონცეფციის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის ონლაინ შეთავაზება;

სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით 180 კრედიტიანი საბაკალავრო და 90 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, რაც საშუალებას იძლევა უფრო მოკლე ვადაში აღზარდო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები და ამდენად უფრო მიმზიდველი გახადო პროგრამები.

სხვადასხვა სახელოვნებო ან სამეცნიერო დარგში უფრო მეტი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ამოქმედება საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის და დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით.

თსსა უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, რაც დამატებითი შემოსავლების ზრდასთან ერთად აკადემიის ცნობადობის ამაღლების წინაპირობაც იქნება.

სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა

2025-2031 წლები

#	პრიორიტეტი	აქტივობა	ვადა, წელი	დაფინანსების წყარო	პასუხისმგებელი სტრუქტურა	შენიშვნა
1	განათლება					
		საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მათი განხორციელების პერმანენტული მონიტორინგი და შეფასება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.	
		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.	2027-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები.	
		უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების შექმნა, აკრედიტაცია, დანერგვა.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები.	

		<p>პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. რეგიონულ და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, სტაჟირებებში, ერთობლივ პროექტებში, ტრენინგებსა და კონკურსებში მონაწილეობა.</p>	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო/კვლევებისა და განვითარების სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.</p>	
		<p>შემოქმედებითი ინტერნაციონალიზაციისა და ერასმუს+ გაცვლით პროგრამაში აქტიური ჩართულობისთვის პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსებით უზრუნველყოფა.</p>	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	<p>ადმინისტრაცია, უწყვეტი განათლების ცენტრი.</p>	

	<p>უწყვეტი განათლების ხელშეწყობა. სახელოვნებო განათლების მოკლევადიანი კურსების, მასტერკლასების, ვორკშოპების შემუშავება-განხორციელება.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.</p>	<p>უწყვეტი განათლების ცენტრი, ფაკულტეტები.</p>	
	<p>ფაკულტეტებს შორის ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავება.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები.</p>	
	<p>ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და აქტივობების მიმართულებით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები.</p>	<p>ფაკულტეტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	

	სასწავლო პროცესში დარგის ლიდერი-პრაქტიკოსების, წამყვანი სპეციალისტების, ბიზნესის წარმომადგენელთა, საერთაშორისო დონის კვალიფიციური კონსულტანტების მოწვევა, ღია ლექციების, ვორქშოფებისა და მასტერკლასების ჩატარება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ფაკულტეტები, საერთაშორისო განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.	
	საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსით, მასალებითა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ფაკულტეტები, ადმინისტრაცია.	
	საბიბლიოთეკო რესურსების სასწავლო გეგმაში ინტეგრაცია.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია.	
	სასწავლო პროცესის ხელშეწყობა აკადემიის მუზეუმის კოლექციების ბაზაზე, აკადემიის ყველა ფაკულტეტთან თანამშრომლობით.	2025 - 2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	მუზეუმი, ფაკულტეტები.	

2	სტუდენტების მხარდაჭერა და წარმატება					
		<p>სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში: საკონსულტაციო, საკონკურსო, შემოქმედებით და სამეცნიერო პლატფორმებზე.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.</p>	<p>ფაკულტეტები, სტუდენტური თვითმმართველობა, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური.</p>	
		<p>სტუდენტთა სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა-დაფინანსება.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.</p>	<p>ფაკულტეტები, სტუდენტური თვითმმართველობა, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	

	სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება: სწავლის გადასახადისგან გათავისუფლება და შემოქმედებითი კონკურსის შედეგების შესაბამისად წარმატებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია, ფაკულტეტები.	
	სტუდენტთა ჩართვა სტაჟირების, მათ შორის, ანაზღაურებადი სტაჟირების, პროგრამებში და მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია, ფაკულტეტები.	
	აკადემიის მუზეუმისა და გობელენისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმის სივრცეებში ექსპერიმენტული საგამოფენო თუ სხვა ინოვაციური და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება აკადემიის ყველა ფაკულტეტთან თანამშრომლობით.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	აკადემიის მუზეუმი, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ფაკულტეტები.	

		ციფრულ-ტექნოლოგიური კლასების შექმნა-ფუნქციონირება და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამებით უზრუნველყოფა.	2025 - 2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები	ფაკულტეტები, ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური	
		სასწავლო პროცესის მართვის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა საუნივერსიტეტო სივრცეში, საკომუნიკაციო ქსელების ინფრასტრუქტურის განშლა, სტუდენტთა და პედაგოგთა მომსახურების მიზნით.	2025 - 2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია, ფაკულტეტები.	

		სასწავლო პროცესში, აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, სტუდენტებისთვის საინფორმაციო მართვითი სისტემების მუდმივი ტექნოლოგიური/პროგრამული განახლება და მონიტორინგი.	2025 - 2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.	
		სასწავლო პროცესის საინფორმაციო სისტემაში ახალი პროგრამული პლატფორმების მოძიება, კვლევა/ანალიზი, ინტეგრირება კარიერული სერვისების განვითარების მიზნით.	2025 - 2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური , სტუდენტური თვითმმართველობა.	
3	შემოქმედებითი საქმიანობა					

	რეგიონული და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტების შემუშავება-განხორციელება. მათ შორის: ფესტივალების, გამოფენების, ვორქშოპების, მასტერკლასების, არტ ბაზრობების და სხვ.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები.	ფაკულტეტები, სტუდენტური თვითმმართველობა, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.	
	არტისტული კვლევების მიახრთულებით ექსპერიმენტული პროექტების განხორციელება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები.	სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ფაკულტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები.	
	არტ რეზიდენციის საერთაშორისო პროგრამის კონცეფციის შექმნა, დამუშავება და განხორციელება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები.	სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.	

		საერთაშორისო არტ რეზიდენციების, ინსტიტუციებისა და არტისტების მოზიდვა ერთობლივი შემოქმედებითი აქტივობების ინიცირებისა და სტუდენტთა ჩართულობის მიზნით.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.	
		საერთაშორისო არტ ფორუმისა და ფესტივალის კონცეფციების შექმნა და განხორციელება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.	
4	სამეცნიერო კვლევები					

		<p>ფაკულტეტთაშორისი თანამშრომლობის გააქტიურება, კვლევითი სტრუქტურული ერთეულების პროცესში ინტეგრაციით, ყოველწლიური კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, საჯარო ლექციების, თემატური შეხვედრების ჩატარებით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები.</p>	<p>ფაკულტეტები, სტუდენტური თვითმმართველობა, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, აკადემიის მუზეუმი, ადმინისტრაცია.</p>	
		<p>სამეცნიერო პროცესის მდგრადობისთვის, შიდა კვლევითი პროექტების მხარდაჭერა.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები</p>	<p>ფაკულტეტები, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	

		<p>სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ახალგაზრდა მეცნიერების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების, ასევე აკადემიის კურსდამთავრებულთა მიზნობრივ შიდა კვლევით კონკურსებში, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობითა და დოქტორანტებისთვის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებაში ხელის შეწყობით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები</p>	<p>ფაკულტეტები, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	
--	--	--	-----------	---	---	--

		<p>ინტერინსტიტუციური და ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებით, მრგვალი მაგიდების შეხვედრებით, ფორუმებით, კვლევითი პროექტებით, პუბლიკაციებით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.</p>	<p>ფაკულტეტები, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	
		<p>სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების მიმართულებით, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე არსებულ ინფორმაციაზე წვდომის გაზრდა სამეცნიერო ბაზებზე, საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებზე, საერთაშორისო სამეცნიერო პლატფორმებზე წვდომის უზრუნველყოფით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები</p>	<p>ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადმინისტრაცია.</p>	

		აკადემიის სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის, ასევე დოქტორანტებისა და მაგისტრანტების აღჭურვა კვლევის წარმოების თანამედროვე მეთოდოლოგიითა და დასავლურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო/ შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური.	
		ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო/ შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური.	
		ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა და ჩართვა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.	2025-2031	საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები.	სამეცნიერო/ შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური.	

		<p>დოქტორანტთა, აკადემიური პერსონალისა და კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე პარტნიორებთან თანამშრომლობითა და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სამეცნიერო ფორუმებზე და სხვ. მონაწილეობის ხელშეწყობით.</p>	2025-2031	<p>საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები</p>	<p>ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო/შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.</p>	
5	ინტერნაციონალიზაცია					
		<p>პარტნიორული ურთიერთობების ინიცირება და გაფართოება ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში</p>	2025-2031	<p>საერთაშორისო ფონდები.</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ფაკულტეტები.</p>	
		<p>ორმხრივი/მრავალმხრივი ხელშეკრულებების არეალის გაფართოება.</p>	2025-2031	<p>საერთაშორისო ფონდები.</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ფაკულტეტები.</p>	

		საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის პროექტების ინიცირება და მდგრადი განვითარება.	2025-2031	საერთაშორისო ფონდები.	საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ფაკულტეტები.	
		ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაფართოება ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში: - სტუდენტთა გაცვლითი სასწავლო და სტაჟირების მობილობის მიმართულებით; - აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი მობილობის მიმართულებით;- სტუდენტთა მოკლევადიანი სასწავლო/ შემოქმედებითი გაცვლითი პროექტების დაგეგმვის მიმართულებით; - ინსტიტუციური განვითარების პროექტების მიმართულებით.	2025-2031	საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდები.	საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ფაკულტეტები სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.	

	საერთაშორისო და რეგიონულ სახელოვნებო უნივერსიტეტებთან გაცვლითი შემოქმედებითი პროექტების ინიცირება და მდგრადი განვითარება.	2025-2031	საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდები.	საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, ფაკულტეტები, სამეცნიერო/ შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური.	
